ა. ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა
საზოგადოება

A. Zurabashvili Society of
Georgian Psychiatrists

N 07/2020 20.03..2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგმართვთ ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისებში კორონავირუსთან (COVID 19) შექმნილი ვითარების გამო.

მოგეხსენებათ, რომ ინფექციისადმი ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები წარმოადგენენ. ასევე, შექმნილმა ვითარებამ, შესაძლოა, გააუარესოს მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობა და სერვისებზე დატვირთვა გაზარდოს.

შესაბამისად, ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისები მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე არიან.

პირველ რიგში, ძალიან მნიშნველოვანია, რომ ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისებში სრულად იყოს დაცული კორონავირუსთან (COVID 19) დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია. ამისთვის აუცილებელია, რომ ამ სერვისში მომუშავე პერსონალს ჰქონდეს სრული აღჭრუვილობა და სათანადო ცოდნა, რათა ეფექტურად მოახერხოს ინფექციის გავრცელების შეჩერება.

მოგმართავთ თხოვნით, რომ დაიგეგმოს ინფექციონისტებთან და ეპიდემიოლოგებთან ერთად ამ სერვისებისთვის ოპტიმალური წესებისა და რეკომენდაციების შემუშავება და ჩატარდეს ტრენინგები (შესაძლოა, ვიდეო ან დისტანციური სწავლების სახით) ფსიქიკური ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის.

ფსიქიატრთა საზოგადოება თავის მხრივ იღებს ვალდებულებას, რომ ინიცირება გაუკეთოს და ჩაერთოს ყველა პროცესში, რომელიც ჩვენი მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე იქნება მიმართული.

პატივისცემით,
ა.ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა
საზოგადოების თავმჯდომარე /ეკა ჭყონია/

მისამართი: თბილისი, 0153, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. N 43
ტელეფონი: +995032 265 38 28
ელ-ფოსტა: geopsysociety@gmail.com